



შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“

აკადემიურ საბჭოს სხდომაზე

რექტორი ანზორ შარაშენიძე

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო
უნივერსიტეტის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. ეს დებულება არეგულირებს შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-სასწავლო უნივერსიტეტი), რომელიც განსაზღვრავს მის თვითმყოფადობას და მის როლს - ადგილს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, რომელსაც წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში. განავრცობს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას, ხელს უწყობს სტუდენტების თვალსაზრისის გათვალისწინებას, მათ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, სამოქალაქო თანაგრძობისა და პასუხისმგებლობის გაღვივებას, მათ აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტის მართვის, დაფინანსების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის წარმართვის პროცესს. განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულების ურთიერთმიმართებებს, მათი ფუნქციონირებისა და უფლება-მოვალეობების წესებსა და პრინციპებს.

მუხლი 2. სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი

2.1. სასწავლო უნივერსიტეტი არის კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებს, ამ დებულებას და სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს.

2.2. სასწავლო უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა: „შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი“ ან შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი“ ქართულად, აბრევიატურა - “თდასუ“, Tbilisi David Agmashenebeli Teaching University LLC - ინგლისურად.

2.3. სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22. ძირითადი კორპუსი და ქ.თბილისი სულხან ცინცაძის ქ. N24-ში მდებარე კორპუსის 6 და 7 სართულები.

2.4. სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდია: www.tdasu.edu.ge .

2.5. სასწავლო უნივერსიტეტს აქვს თავისი ლოგო, ბეჭედი, და ტიტულოვანი ფურცელი;

2.6. სასწავლო უნივერსიტეტში საქმის წარმოება მიმდინარეობს ქართულ ენაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

2.7. სასწავლო უნივერსიტეტი საკუთარი სახელით ახორციელებს დადგენილ უფლებებსა და მოვალეობებს. ამყარებს საქმიან კონტაქტებს, როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დებს გარიგებებს, შეუძლია გამოვიდეს მოსარჩლედ და მოპასუხედ სასამართლოში.

2.8. სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ფორმით.

მუხლი 3. სასწავლო უნივერსიტეტის მისია

3.1. სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა სასწავლო და სამეცნიერო სივრცეში საგანმანათლებლო საქმიანობა, მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების, ეროვნული ცნობიერებისა და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრება, ახალგაზრდა მაღალკვალიფიციური პროფესიონალი კადრების მომზადება;

3.2. უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა;

3.3. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია;

3.4. პრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად სტუდენტთა დასაქმებისა და ინიციატივების მხარდაჭერა;

3.5. უცხოელი და ადგილობრივი სტუდენტების დაახლოება, სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია.

3.6. მისიის განსახორციელებლად სასწავლო უნივერსიტეტი:

ა) ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სტანდარტებითა და რეკომენდაციებით;

ბ) ახორციელებს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას;

გ) წერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს;

დ) ეწევა ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას;

ე) ხელს უწყობს კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მოზიდვას;

ვ) ზრუნავს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

ზ) აახლებს სასწავლო პროცესის ინფრასტრუქტურას;

თ) შეიმუშავებს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების მოკლევადიან (სამწლიან) და გრძელვადიან (სვიდწლიან) სტრატეგიული განვითარების გეგმებს;

ი) ხელს უწყობს ინდივიდის პიროვნული და პროფესიული ზრდისათვის გარემოს შექმნას და უზრუნველყოფს უწყვეტი განათლების მიღებას;

კ) განსაზღვრავს მისაღებ კონტიგენტს, აკადემიური პროგრამების რაოდენობას და მისი შემდგომი გაზრდის შესაძლებლობებს;

ლ) ადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტს და განკარგავს მის ხარჯვით ნაწილს;

მ) აწყობს დამსაქმებელთა და სტუდენტთა შეხვედრებს, ეხმარება მათ შემდომ თანამშრომლობაში;

ნ) ხელს უწყობს სასწავლო უნივერსიტეტის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას.

მუხლი 4. სასწავლო უნივერსიტეტის მიზნები და ამოცანები:

4.1 სასწავლო უნივერსიტეტის მიზნები:

ა) უმაღლესი აკადემიური განათლების სივრცეში სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი მაღალი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება: უმაღლეს სასწავლებლების და სამეცნიერო - კვლევით დანესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, დამსაქმებლების, სტუდენტების და აკადემიურ პერსონალის ჩართულობით და შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბ) სტუდენტის ინტელექტუალური, კულტურული და პიროვნული ზრდისათვის, მაღალი ხარისხის განათლების მიღება და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;

გ) სტუდენტთა არჩევანის თავისუფლება და მისცეს მათ შესაძლებლობა იქცეს სწავლასწავლების პროცესის მთავარ სუბიექტად;

დ) ღია კონკურენციისა და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპებზე დაყრდნობით თითოეულ სტუდენტის სოციალური წარმატებისა და თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარება;

ე) სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა და ინტერნაციონალიზაცია;

ვ) ხელი შეუწყოს ეთნიკურად მრავალეროვანი საზოგადოების ინტეგრირებას;

ზ) შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტთა სწავლის პირობების სრულყოფა და ინფრასტრუქტურის მონაცობა;

თ) სიცოცხლის მანძილზე უწყვეტი სწავლების პრინციპის დანერგვა და განხორციელება;

ი) კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა და შრომითი ბაზრის მოთხოვნებზე ადაპტირება.

4.2. სასწავლო უნივერსიტეტის ამოცანები:

ა) თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული განათლების ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა;

- ბ) უწყვეტი განათლების (“სწავლა ცხოვრების მანძილზე”) პრინციპების დანერგვა;
- გ) სასწავლო პროცესის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა;
- დ) სტრატეგიულ პარტნიორებთან, საქართველოს და უცხოეთის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, პროფესიულ და სამეცნიერო ასოციაციებთან (გაერთიანებებთან) გრძელვადიანი თანამშრომლობა;
- ე) აკადემიური, სამეცნიერო პერსონალის და სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა;
- ვ) ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დანერგვა;
- ზ) აკადემიური პერსონალის მართვის, შეფასების და შერჩევის საიმედოობა და ობიექტურობა.
- თ) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების უფლებების დაცვა , სასწავლო პროცესში აკადემიური თავისუფლების დანერგვა;

მუხლი 5. სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობა

- 5.1. სასწავლო უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც, კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული ავტორიზაციის საფუძველზე უფლებამოსილია განახორციელოს უმაღლესი განათლების პირველი - საბაკალავრო და მეორე - სამაგისტრო საფეხურის პროგრამა/პროგრამები.
- 5.2. საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში სასწავლო უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, განათლების სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებითა და სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი ხასიათის აქტებით.
- 5.3. სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელიც არ იქნება გათვალისწინებული რექტორის სამართლებრივი აქტებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 5.4. უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად სასწავლო უნივერსიტეტი ქმნის საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულებს - ფაკულტეტს/ფაკულტეტებს. კონკურსის საფუძველზე არცევის წესის შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე რექტორი ნიშნავს აკადემიურ და ადმინისტრაციულ დარგის კვალიფიცირებულ პერსონალს და მათი ჩართულობით შეიმუშავებს და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ამტკიცებს და ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კვალიფიკაციის მინიჭებასა და საგანმანათლებლო დოკუმენტის - დიპლომის გაცემას.

მუხლი 6. საგანმანათლებლო საქმიანობის პრინციპები

6.1. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

ა) საუნივერსიტეტო გადამწყვეტილებების, რექტორის ბრძანებების საჯაროობასა და მათ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) სტუდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის ეთნიკური წარმომავლობისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;

გ) აკადემიური თანამდებობების დაკავებას ღია და გამჭვირვალე კონკურსის გზით, აკადემიური პერსონალის არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალეობას.

6.2. სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით არ შეიძლება დადგინდეს ამ პრინციპების შემზღუდავი ნორმები.

მუხლი 7. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა

7.1. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს:

ა) რექტორი;

ბ) აკადემიური საბჭო;

გ) უმაღლესი განათლების ფაკულტეტი;

დ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ე) იურიდიული სამსახური;

ვ) სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახური;

ზ) საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური;

თ) ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური;

ი) ბიბლიოთეკა;

კ) ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური;

ლ) დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახური;

მ) სტუდენტური თვითმმართველობა.

მუხლი 8. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

8.1. სასწავლო უნივერსიტეტს ხელმძღვანელობს რექტორი.

8.2. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი პასუხისმგებელია სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც ორგანიზაციის საქმიანობის უმთავრესი მიმართულებების დადგენაზე, საგანმანათლებლო საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრაზე და ერთპიროვნულად წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

8.3. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტებით, წესდებითა და ამ დებულებით.

8.4. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს საორგანიზაციო-განმკარგულებელ აქტს – ბრძანებას.

8.5. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი თანამდებობაზე ინიშნება უვადოდ.

8.6. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის დამფუძნებელი.

8.7. რექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება დასტურდება ამონაწერით მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

8.8. რექტორის არ ყოფნის შემთხვევაში რექტორის ფუნქციებს დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე ასრულებს სასწავლო უნივერსიტეტის სხვა თანამშრომელი.

8.9. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) თავმჯდომარეობს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, მართავს სასწავლო უნივერსიტეტს და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობებში;

ბ) ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურას და ადგენს საშტატო განრიგს (საუნივერსიტეტო თანამდებობათა ნუსხას);

გ) ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის დებულებას, ეთიკის კოდექსს, შინაგანაწესს, საქმისწარმოების წესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, სტრუქტურული ერთეულების/საგანმანათლებლო ერთეულის/ერთეულების დებულებებს, სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი ხასიათის სხვა აქტებს;

დ) ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიან შვიდწლიან და მოკლევადიან სამწლიან სამოქმედო გეგმებს;

ე) აცხადებს აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსს, ამტკიცებს საკონკურსო კომისიის შემადგენლობას, საკონკურსო კომისიის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს

სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს. კანონმდებლობითა და სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი საფუძვლის არსებობისას თანამდებობიდან ათავისუფლებს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს.

ვ) ახორციელებს დაწესებულების პერსონალის დანიშვნა/განთავისუფლებას, მათთან შრომითი ხელშეკრულებების დადებას, კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლების არსებობისას ანთავისუფლებს თანამდებობიდან/წყვეტს ხელშეკრულებას პერსონალთან;

ზ) დებს გარიგებებს, დაწესებულების ქონების შესყიდვის, სარგებლობის, განკარგვის შესახებ; თ) ამტკიცებს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას;

ი) სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილებით აფორმებს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებებს სტუდენტებთან;

კ) აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ამტკიცებს კრედიტის ღირებულებას სასწავლო კურსის განმეორებითი მოსმენისათვის;

ლ) აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის სტატუსის მოპოვება/შეჩერება/შენწყვეტის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად;

მ) ამტკიცებს სტუდენტების/სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;

ნ) ამტკიცებს დაწესებულების ბიუჯეტს და აკონტროლებს მის შესრულებას;

ო) იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო კვლევების დაფინანსების შესახებ;

პ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, დაწესებულებაში მოქმედი სხვა აქტებით განსაზღვრულ, სასწავლო უნივერსიტეტის მართვასთან დაკავშირებულ და სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე სხვა უფლებამოსილებებს.

8.10. დაწესებულების რექტორი უფლებამოსილია, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე თავისი სამართლებრივი აქტით განსაზღვროს კონკრეტული ფუნქციები დაწესებულების სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისათვის, ასევე ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ის საკითხი, რომლის გადაწყვეტაც არ შედის არც ერთი სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილებაში.

მუხლი 9. აკადემიური საბჭო

9.1. აკადემიური საბჭო არის სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების ძირითად მიმართულებებს, ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ხარისხის განვითარების უზრუნველყოფას, უმაღლეს საგანმანათლებლო

დანესებულებებს შორის თანამშრომლობას, სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების ინტეგრირებას, ერთობრივი სწავლების, სამეცნიერო-კვლევების პროგრამების შექმნას. ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლება-მოვალეობებს:

9.2. აკადემიური საბჭო არის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან შემდგარი წარმომადგენლობითი ორგანო.

9.3. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში უფლებამოსილია იყოს სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის/მიმართულების ხელმძღვანელები, დეკანი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტური თვითმმართველობისა და იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი;

9.4. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შესული წევრები აკადემიურ საბჭოში არჩევის შემდგომ არ არიან უფლებამოსილი იყვნენ ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში;

9.5. აკადემიური საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.

9.6. აკადემიური საბჭო თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე კენჭის ყრით, სიის შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს.

9.7. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია გამართოს სხდომები და მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა;

9.8. აკადემიური საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით ღია კენჭისყრის საფუძველზე. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

9.9. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვრება 4 წლით;

9.10. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ ორჯერ;

9.11. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით;

9.12. აკადემიური საბჭო მოქმედებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ნორმატიული აქტებითა და სასწავლო უნივერსიტეტის მომქმედი დებულებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად მუშაობის ძირითადი პრინციპებია:

- მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის;

- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების დაცვა;

- თანასწორუფლებიანობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესის, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;

- არჩევნების სამართლიანობა და გამჭვირვალობა, კონკურსის საჯაროობა;

9.13. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტი განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესს, პროცედურას და სავალდებულოა ყველა წევრისათვის;

9.14. აკადემიურ საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხს, რომელიც მონესრიგებული არ არის რეგლამენტით, აკადემიური საბჭო გადაწყვეტს დადგენილებით.

მუხლი 10. უმაღლესი განათლების ფაკულტეტი

10.1. სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია უმაღლესი განათლების ფაკულტეტი ;

10.2 უმაღლესი განათლების ფაკულტეტს ხელმძღვანელობს დეკანი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, იგი ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოსა და რექტორის წინაშე.

10.3. უმაღლესი განათლების ფაკულტეტი აერთიანებს შესაბამისი მიმართულების აკადემიურ პერსონალს (პროფესორას, გარდა აკადემიური საბჭოს წევრებისა) და მოწვეული პერსონალის, უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განხორციელებას და სტუდენტების მომზადებას შესაბამის სპეციალობებში.

10.4. უმაღლესი განათლების ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ადმინისტრაცია და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული (ლექტორი) პერსონალი (გარდა აკადემიური საბჭოს წევრებისა).

10.5. სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საქმიანობაზე აკადემიური საბჭოსა და რექტორის წინაშე პასუხისმგებელია ფაკულტეტის დეკანი.

10.5. უმაღლესი განათლების ფაკულტეტის მართვის ორგანოები/მმართველი სუბიექტებია:

ა) ფაკულტეტის საბჭო ;

ბ) დეკანატი;

გ) დარგობრივი სკოლები.

მუხლი 11. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

11.1. დანესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

11.2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობას და სტრუქტურას სამტატო განრიგით განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს რექტორი.

11.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობაში შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სამსახურის საქმიანობის მოცულობიდან გამომდინარე, სამსახურის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდეს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი/სპეციალისტები;

11.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გადამწყვეტილება და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება.

მუხლი 12. იურიდიული სამსახური

12.1. იურიდიული სამსახური:

ა) მონაწილეობს სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს შემოსული განცხადებების განხილვაში;

გ) უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას;

დ) უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის სამართლებრივი კონსულტაციების განწევას;

ე) რექტორის დავალებით ამზადებს ბრძანებების, ხელშეკრულებების პროექტებს;

ვ) წარმოადგენს და იცავს სასწავლო უნივერსიტეტის ინტერესებს ყველა ინსტანციის სასამართლოში.

12.2. იურიდიული სამსახურის შემადგენლობას და სტრუქტურას საშტატო განრიგით განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

12.3. იურიდიული სამსახურის შემადგენლობაში შედის სამსახურის უფროსი, სამსახურის საქმიანობის მოცულობიდან გამომდინარე, სამსახურის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდეს სპეციალისტი/სპეციალისტები;

12.4. იურიდიული სამსახურის საქმიანობას არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული იურიდიული სამსახურის დებულება.

მუხლი 13. სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახური

13.1. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახური.

13.2. სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის მენეჯერი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

13.3. სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის ფუნქციებია:

- ა) სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტი განვითარების ორგანიზება და ხელშეწყობა;
- ბ) საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფა;
- გ) სასწავლო-სამეცნიერო პროცესების, დაგეგმილი ან განხორციელებული ღონისძიებების საჯაროობისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- დ) სასწავლო უნივერსიტეტში კულტურისა და სპორტის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინირების უზრუნველყოფა.
- ე) სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის დასაქმებასთან დაკავშირებული სერვისის ხელშეწყობა და განვითარება;
- ვ) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით თანამშრომლობა კერძო და სახელმწიფო სექტორთან;
- ზ) სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა;
- თ) სტუდენტთა, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებთან ურთიერთობა, სტუდენტური პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობა;

13.4. სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის შემადგენლობასა და სტრუქტურას სამტატო განრიგით განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

13.5. სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის შემადგენლობაში შედის სამსახურის მენეჯერი, სამსახურის საქმიანობის მოცულობიდან გამომდინარე, სამსახურის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდეს სპეციალისტი/სპეციალისტები;

13.6. სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის საქმიანობას არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის დებულება.

მუხლი 14. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური

14.1. სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური:

ა) პასუხისმგებელია სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების - კომპიუტერული ცენტრების, კომპიუტერული ქსელის, დანერგვების ვებ-გვერდის, საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზის და სხვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამართულ მუშაობასა და სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობაში მათ შეუფერხებლად განხორციელებაზე.

14.2. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის შემადგენლობას და სტრუქტურას სამტატო განრიგით განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

14.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის საქმიანობას არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულება.

მუხლი 15. ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური

15.1. სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის:

- ა) საქმისწარმოებას - შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვას, შემსრულებლამდე/ადრესატამდე დაყვანას;
- ბ) სასწავლო უნივერსიტეტის დოკუმენტაციის ბაზის ფორმირებას;
- გ) საჯარო ინფორმაციის გაცემას;
- დ) პირადი საქმეების ფორმირებასა და შენახვას, დანესებულების არქივის წარმოებას;
- ე) კვალიფიკაციური ადამიანური რესურსის მოზიდვას, შერჩევას/დაქირავების პროცესის ორგანიზებას და მართვას სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად;
- ვ) აკადემიური კონკურსების ჩატარების ორგანიზებას;
- ზ) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეების ადმინისტრირებას;
- თ) პერსონალის სამუშაო აღწერილობების მომზადებას;
- ი) შრომითი ხელშეკრულებების დადების ორგანიზებას.

15.2. ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის შემადგენლობას და სტრუქტურას საშტატო განრიგით განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

15.3. ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის შემადგენლობაში შედის სამსახურის მენეჯერი, სამსახურის საქმიანობის მოცულობიდან გამომდინარე, სამსახურის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდეს სპეციალისტი/სპეციალისტები;

15.4. ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის საქმიანობას არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის დებულება.

მუხლი 16. ბიბლიოთეკა

16.1. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის დანესებულების საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო საგანმანათლებლო პროცესის სასწავლო მასალებით უზრუნველყოფას, როგორც სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალისათვის.

16.2. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მისი სტუდენტების, აკადემიური და მონვეული პერსონალის, ასევე დაწესებულების სხვა თანამშრომლების მიერ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით სარგებლობას, რექტორის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

16.3. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის გამგე, რომელიც პასუხისმგებელია დაინტერესებული პირების მიერ საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის უზრუნველყოფაზე, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესრულებაზე და საბიბლიოთეკო ფონდების მიზნობრივად გამოყენებასა და დაცვაზე.

16.4. სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებულ ბიბლიოთეკის დებულებაში.

მუხლი 17. ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური

17.1. სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური:

ა) აწარმოებს დაწესებულების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას; კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი წესით;

ბ) მონაწილეობს სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის, პროცედურების, ნორმების, წესების შემუშავებასა და განახლებაში;

გ) ბუღალტრული ანგარიშგების საფუძველზე ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანალიზს;

დ) ადგენს ფინანსურ ანგარიშს;

ე) ახორციელებს სახელფასო და სხვა სახის გადარიცხვებს;

ვ) ატარებს აუდიტისა და ინვენტარიზაციის პროცედურებს.

17.2. ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შემადგენლობას და სტრუქტურას საშტატო განრიგით განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

17.3. ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შემადგენლობაში შედის საქმისწარმოების სამსახურის უფროსი/ბუღალტერი, სამსახურის საქმიანობის მოცულობიდან გამომდინარე, სამსახურის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდეს სპეციალისტი/სპეციალისტები;

17.4. ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის საქმიანობას არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის დებულება.

მუხლი 18. დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახური

18.1. სასწავლო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს:

- ა) წესრიგის დაცვასა და სასწავლო უნივერსიტეტში მყოფი ადამიანების უსაფრთხოებას;
- ბ) შენობაში სასწავლო უნივერსიტეტის ინვენტარის დაცვას;
- გ) ვიზიტორების შენობაში შემოსვლისა და გასვლის კონტროლს;
- დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დაწესებულებაში თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილების ხელშეწყობას.
- ე) პერსონალისა და სტუდენტთა პირველად სამედიცინო მომსახურებას;
- ვ) სასწავლო უნივერსიტეტში ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის პირობების არსებობას.

18.2. სასწავლო უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი/თანამშრომლები თანამდებობაზე ინიშნებიან სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

18.3. სასწავლო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობაშია ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისა და სტუდენტთა პირველად სამედიცინო მომსახურებას.

18.4. სასწავლო უნივერსიტეტის ექიმი არის სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელიც, თანამდებობაზე ინიშნება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

18.5. სასწავლო უნივერსიტეტის ექიმის უფლებამოსილება და სასწავლო უნივერსიტეტში სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის მექანიზმები განისაზღვრება სამედიცინო პუნქტის დებულებით.

მუხლი 19. სტუდენტური თვითმმართველობა

19.1. სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს ღია კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე არჩეულ სტუდენტურ მმართველობას, რომელიც შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას და მოქმედებს აღნიშნული დებულების შესაბამისად;

19.2. სტუდენტური თვითმმართველობა მონაწილეობას იღებს პროგრამების შემუშავება/დახვეწაში;

19.3. სტუდენტური თვითმმართველობა თავის საქმიანობას წარმართავს მის მიერ შემუშავებული დებულებით, რომელსაც ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

19.4. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

ბ) შეიმუშავებს წინადადებებს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

გ) პერიოდულად ახდენს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებას;

დ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას დაწესებულების მართვაში.

19.5. სტუდენტური თვითმმართველობა თანამშრომლობს სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან, საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მუხლი 20. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

20.1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტისაგან.

20.2. პროფესორთა შემადგენლობას მიეკუთვნება:

ა) პროფესორი;

ბ) ასოცირებული პროფესორი;

გ) ასისტენტ-პროფესორი;

20.3. პროფესორი არის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და კვლევით მუშაობას.

20.4. ასოცირებული პროფესორი არის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო მუშაობას.

20.5. ასისტენტ-პროფესორი არის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო პროცესში.

20.6. ასისტენტი - არის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო აქტივობებს, შესაბამისი პროფესორის მიერ განსახორციელებელ სასწავლო კურსის/პროცესის ფარგლებში.

მუხლი 21. აკადემიური თანამდებობის დაკავება

21.1. აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება ღია კონკურსის წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების დაცვით.

21.2. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესი დგინდება რექტორის მიერ.

21.3. აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახებ კონკურსი იწყება კონკურსის გამოცხადების აქტით, რომელიც ფორმდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. კონკურსის გამოცხადების აქტი სავალდებულოა მოიცავდეს ინფორმაციას საკონკურსო ვაკანსიების რაოდენობების, კონკურსის ვადებისა და საკონკურსოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ.

21.4. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

21.5. აკადემიურ თანამდებობაზე პირი შეიძლება არჩეულ იქნას „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე - 35-ე მუხლის შესაბამისად.

21.6. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ხდება რექტორის მიერ დამტკიცებული აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო კომისიის დებულების შესაბამისად.

მუხლი 22. აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება

22.1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლა;
- გ) შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითი დარღვევა;
- დ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

22.2. აკადემიური პერსონალის აკადემიური თანამდებობიდან განთავისუფლება იწვევს მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

22.3. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან განთავისუფლება ფორმდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 23. აკადემიური პერსონალის უფლებებები

23.1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

- ა) მონაწილეობა მიიღოს სასწავლო უნივერსიტეტის მართვაში ფაკულტეტის საბჭოში წარმომადგენლობის გზით და სხვა, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში;
- ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება და კვლევითი საქმიანობა;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;
- დ) განახორციელოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

23.2. აკადემიური პერსონალის ვალდებულებები

ა) სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

ა.ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის, ამ დებულების და სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სხვა აქტების მოთხოვნები;

ა.ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

ა.გ) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად სრულყოფილად განახორციელოს სტუდენტთა სწავლება და შესაბამისი სასწავლო კომპონენტის გაძღოლა.

მუხლი 24. მონვეული ლექტორი/სპეციალისტი

24.1. სასწავლო უნივერსიტეტს უფლება აქვს მონვეული ლექტორის/სპეციალისტის სტატუსით, მოიწვიოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი სასწავლო პროცესის წარმართვის/ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

24.2. მონვეული ლექტორის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

24.3. სასწავლო პროცესის შესაბამისი კომპონენტის განხორციელებასთან მიმართებით მონვეული ლექტორი სარგებლობს აკადემიური პერსონალის მსგავსი უფლებებით.

მუხლი 25. აკადემიური პერსონალის აფილირება

25.1 აფილირება შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობითი შეთანხმებაა მიკუთვნების შესახებ (აფილირების შრომითი ხელშეკრულება), რომლითაც სასწავლო უნივერსიტეტში მომუშავე აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას, მხოლოდ შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტთან, მისი სახელით მოღვაწეობს საგანმანათლებლო სივრცესა და სასწავლო უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში:

ა) ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით /სამეცნიერო საქმიანობას, რომლის განხორციელების დროს მის მიერ მიღებული კვლევის შედეგები ეთვლება სასწავლო უნივერსიტეტს;

ბ) აქტიურად არის ჩართული სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობაში და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში;

გ) აქტიურადაა ჩართული სტუდენტის შემოქმედებით საქმიანობაში და მონაწილეობას იღებს ახალგაზრდა პროფესიული კადრების აღზრდის საკითხში.

დ) ხელმძღვანელობს მაგისტრანტებს, კურატორობას უწევს სასწავლო ჯგუფებს, მონაწილეობას იღებს გრანტების მოძიებაში და ეხმარება კურსდამთავრებულებს დასაქმებაში. 25.2 აფილირებული აკადემიური პერსონალი – აკადემიური თანამდებობის მქონე პირია, რომელსაც სასწავლო უნივერსიტეტთან წერილობით გაფორმებული აქვს აფილირების შრომითი ხელშეკრულება/შეთანხმება;

25.3 აფილირების შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია სასწავლო უნივერსიტეტსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ მომუშავე აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის, რომელიც განსაზღვრავს მხარეების უფლება-მოვალეობებს აფილირებასთან დაკავშირებულ საკითხებში;

25.4. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გასულმა პირმა სასურველია სასწავლო უნივერსიტეტთან გააფორმოს აფილირების შრომითი ხელშეკრულება;

25.5. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს აკადემიური/სასწავლო დატვირთვა, ვალდებულია აცნობოს სასწავლო უნივერსიტეტს აღნიშნულის შესახებ და ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე წარმოადგინოს ინფორმაცია აკადემიური დატვირთვის რაოდენობის, მათ შორის, მაგისტრანტების /დოქტორანტების ხელმძღვანელობის შესახებ;

25.6. წინამდებარე წესის მოთხოვნათა დარღვევა ავტომატურად იწვევს შრომითი ხელშეკრულების მოშლას;

25.7. აფილირების შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) გარდაცვალება;

გ) საკონკურსო ვადის გასვლა;

დ) აფილირების წესის დარღვევა;

ე) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ვ) სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარება ან სასამართლოს მიერ მხარდამჭერის დანიშვნა;

მუხლი 26. ადმინისტრაციული პერსონალი

26.1. სასწავლო უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ და დამხმარე თანამდებობის საშტატო ერთეულზე შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული ვაკანსიის სპეციფიკიდან გამომდინარე სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, რომელსაც აღგენს საქმისწარმოების სამსახური.

26.2. სასწავლო უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ და დამხმარე თანამდებობის დაკავების წესი განისაზღვრება „ადმინისტრაციულ თანამდებობაზე თანამშრომელთა შერჩევისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის წესის“ შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 27. სტუდენტი

27.1. სტუდენტი არის პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა და სწავლობს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ პროგრამაში.

27.2. სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

ა) სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის უფლებებია:

ა.ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად;

ა.ბ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა და მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

ა.გ) თანაბარ პირობებში ისარგებლოს დაწესებულების რესურსებით;

ა.დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის შესახებ;

ა.ე) მოითხოვოს და მიიღოს ცოდნის სამართლიანი შეფასება, გაასაჩივროს მიღებული შეფასება;

ა.ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. წარმოადგინოს დასაბუთებული წინადადებები, სამართლიანი, ობიექტური და კრიტიკული შენიშვნები რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას;

ა.ზ) მოახდინოს დაწესებულების პერსონალის მუშაობისა და სასწავლო პროცესის შეფასება; ა.თ) გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში/ თვითმმართველობებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

ა.ი) ისარგებლოს მობილობის უფლებით კანონმდებლობითა და დაწესებულებაში დადგენილი წესის შესაბამისად;

ა.კ) მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების მიერ გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში;

ა.ლ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება;

ბ. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის ვალდებულებებია:

ბ.ა) მის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი, გაიაროს არჩევითი სასწავლო კურსები არანაკლებ საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოცულობით;

ბ.ბ) დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების მოთხოვნები.

27.3. სასწავლო უნივერსიტეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის ქმნის აუცილებელ პირობებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის, რაც შეიძლება გამოიხატოს მათთვის სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, შენობაში გადაადგილების ხელშეწყობაში თუ სხვა შეღავათების დადგენაში.

27.4. სტუდენტის სტატუსთან, და სასწავლო პროცესის ორგანიზება/წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

მუხლი 28. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა

სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით.

მუხლი 29. სტუდენტთა წახალისების ფორმები

29.1. წარჩინებული სწავლისა და საუნივერსიტეტო საქმიანობაში მიღწეული წარმატებისათვის დადგენილია წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მაღლობის გამოცხადება;

ბ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

გ) სახელობითი სტიპენდიის დანიშვნა;

დ) დასაშვებია სხვა ფორმის წახალისებები, დაწესებული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

მუხლი 30. სტუდენტთა თვითმმართველობა

30.1. სასწავლო უნივერსიტეტში ღია კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება ფაკულტეტების/სპეციალობების მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა;

30.2. სტუდენტური თვითმმართველობა მოქმედებს საკუთარი დებულების შესაბამისად;

30.3. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას სასწავლო უნივერსიტეტის მართვაში;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

გ) უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები ფაკულტეტის ან სასწავლო უნივერსიტეტის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

დ) აწყობს სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს;

30.4. განახორციელებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს;

30.5. სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ან რექტორს უთანხმებს და წარუდგენს ღონისძიების ბიუჯეტს დასაფინანსებლად.

მუხლი 31. სასწავლო უნივერსიტეტში განათლების საფეხურები:

31.1. ბაკალავრიატის საფეხურის პროგრამა მოიცავს არა ნაკლებ 240 კრედიტს. სტუდენტთა მიღება წარმოებს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მიმართულებებზე.

31.2. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს.

31.3. ბაკალავრიატში სწავლის მიზანია საშუალო ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც პირს კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

31.4. მაგისტრატურა აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურია, რომლის პროგრამა მოიცავს არა ნაკლებ 120 კრედიტს. სტუდენტთა მიღება წარმოებს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მიმართულებებზე.

31.5. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრის ან განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებულ პირს. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სწავლის მაგისტრატურაში გასაგრძელებლად მაგისტრანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ერთსაფეხურიანი სწავლება

31.6 ერთსაფეხურიანი პროგრამა მოიცავს არა ნაკლებ 300 კრედიტს. სტუდენტთა მიღება წარმოებს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტომატოლოგიის სპეციალობაზე.

31.7. ერთსაფეხურიანი პროგრამაზე სტომატოლოგიაში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს.

31.8. მაგისტრატურაში სწავლის მიზნებია:

ა) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და სასწავლო უნივერსიტეტში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება;

ბ) სპეციალობის შეცვლა;

გ) კვალიფიკაციის ამაღლება.

მუხლი 32. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომის გაცემა:

32.1. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სასწავლო უნივერსიტეტში გაიცემა სათანადო კვალიფიკაციის და შესაბამისი საფეხურის დამადასტურებელი დიპლომი – დანართით;

32.2. სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებზე დიპლომები გაიცემა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

32.2. სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური ხარისხის მინიჭება ფაკულტეტის საბჭოს პრეროგატივაა.

მუხლი 33. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის ეთიკის კოდექსი.

33.1. პერსონალი ვალდებულია დაემორჩილოს სასწავლო უნივერსიტეტის დებულებას, რექტორის ბრძანებებს, ეთიკის კოდექსს, სხვა სამართლებრივ აქტებს და შეასრულოს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

33.2. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია თავიდან აიცილოს ყველა ის სიტუაცია, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს სამსახურებრივი მოვალეობის არაკეთილსინდისიერი გამოყენება, რაც თავისთავად პირდაპირ ან ირიბად ჩრდილს მიაყენებს სასწავლო უნივერსიტეტის რეპუტაციას;

33.3. სასწავლო უნივერსიტეტის იმ პერსონალმა, რომელთაც შეეხება აქვთ სასწავლო უნივერსიტეტის კონფიდენციალურ დოკუმენტაციასთან, უნდა დაიცვან და შეინახონ შესაბამისი ინფორმაცია;

33.4. საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მუდმივად განვითარება სასწავლო უნივერსიტეტის მთელი პერსონალის მოვალეობაა. ისინი გამუდმებით უნდა ცდილობდნენ აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაციის ხარისხი;

33.5. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია გაუფრთხილდეს შენობასა და სასწავლო ინვენტარს, გამოიყენონ ისინი დანიშნულებისამებრ და დაიცვან უსაფრთხოების ზომები. დაუშვებელია სასწავლო უნივერსიტეტის რესურსების თვითნებური გამოყენება;

33.6. აკადემიური და სხვა პერსონალი საქმიანობასა და ურთიერთობებში განუხრელად უნდა იცავდნენ სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსს და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 34. სასწავლო უნივერსიტეტის დაფინანსება

34.1. სასწავლო უნივერსიტეტის დაფინანსება ორიენტირებულია სწავლებასა და სამეცნიერო კვლევაზე, კადრების მომზადებაზე, ჩვეულებრივად გადამზადებასა და ლაბორატორიულ-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე. სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი დგება სტრატეგიული დაგეგმარების მოკლევადიანი სამწლიანი და გრძელვადიანი შვიდწლიანი განვითარების გეგმის შესაბამისად.

34.2. სასწავლო უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია:

ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება ჩვეულებრივი სასწავლო გრანტითა და ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადახდილი თანხებით;

ბ) სამეცნიერო -კვლევით სფეროში სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულებით მიღებული შემოსავალი;

გ) სხვადასხვა ფონდისა და ასოციაციისაგან, მათ შორის საერთაშორისო ფონდებისა და ასოციაციებისაგან, მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით მიღებული სხვა, მათ შორის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი;

ე) სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შემოწირულობანი.

ვ) სასწავლო უნივერსიტეტის დამფუძნებლის მიერ განული ქვემოქმედებით სასწავლო უნივერსიტეტის ანგარიშზე შეტანილი თანხით;

ზ) გარედან მოზიდული სპონსორის მიერ ან გრანტული წესით მოპოვებული თანხით.

მუხლი 35. სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება „უმალღესი განათლების შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესით.

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 36. სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მიღება, შეცვლა და გაუქმება

სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით და რექტორის ბრძანებით;